ხელშეკრულება N10.36/10/068

საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი 24.06. 2016 წ.

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის გელა არჩვაძის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორის მაკა კვარაცხელიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველის კუთვნილი ძველი თბილისის რაიონის გამგეობის 2007-2013 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება (CPV: 79995100), რომელიც, საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა)დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ)დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ)საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ)ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესანახ საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგრულებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე)მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერებას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 11959,11 (თერთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებს გათვალისწინებით.

2.2.წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3.წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4.მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2.უნაღდო ანგარისწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადაგენილი წესით.

3.3.თუკი, ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარისსწორება ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებელი, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

3.5.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ)შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ადგილია: ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N48;

4.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა)მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;

ბ)მოთხოვოს შემსყიდველს შეუქმნას მომსახურების გაწევისთვის სათანადო პირობები.

4.3.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელი აუცილებელი მასალით (საქმეთა ყდები, ქაღალდი, წებო, კანაფი, ძაფი და სხვა);

გ) უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.

4.4.შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1.წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.2.თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.

6.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა)მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;

ბ)შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ)წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;

დ)წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საუძველზე;

ე)წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2.საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

10. დავის გადაწყვეტა

10.1.მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2.ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.**

12. დასკვნითი დებულებები

12.1.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ს/კ 204521954
ხაზინის ერთიანი ანგარიში

გამგებელი

გელა არჩვაძე

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის
ტერიტორიული ორგანო
თბილისის ცენტრალური არქივი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიშის № 707447080
ს/კ 211358957

დირექტორი

მაკა კვარაცხელია

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის
ტერიტორიულ ორგანო თბილისის ცენტრალურ არქივს
და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მთაწმინდის რაიონის გამგეობას შორის
24.06.2016 წელს გაფორმებული
დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების
ხელშეკრულების დანართი

წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის 2007-2013 წლების დოკუმენტების სამეცნიერო–ტექნიკური დამუშავებისას გასაწევი მომსახურების საფასურის მიხედვით

N	პოზიცია	მომსახურეობის სახეობა	საზომი ერთეული	საფასური ლარებში	შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა	შესრულებული სამუშაოს ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
1	მუხ. 1.1	დაწესებულებების, ორგანიზაციის ფონდის ისტორიული ცნობის შედგენა 1X35,40=35,40	1 ნაბეჭდი თაბახი	35,40 ლარი	1 ნაბეჭდი თაბახი	35,40 ლარი
2	მუხ. 1.2	დოკუმენტების და საქმეების მოწესრიგების გეგმის შედგენა 1X17,70=17,70	1 გეგმა	17,70 ლარი	1 გეგმა	17, 70 ლარი
3	მუხ. 1.4.2	საქმეების სისტემატიზაცია წლების, ან სტრუქტურული ნაწილების მიხედვით 6912X0,50/10=345,60	10 შესანახი ერთეული	0,50 ლარი	6912 საქმე	345,60 ლარი
4	მუხ.1.6.1.1	საქმეების ექსპერტიზა ფურცლობრივი გადათვალიერებით 6912X1,00=6912,00	1 შესანახი ერთეული	1,00 ლარი	6912 საქმე	6912,00 ლარი

5	მუხ. 1.7.1	საქმეთა ფორმირება დოკუმენტების დაფანტული ფურცლებიდან 2950X0,50/10=147,50	10 ფურცელი	0,50 ლარი	2950 ფურცელი	147,50 ლარი
6	მუხ. 1.11	საქმეების სათაურების შედგენა 950X1,10=1045,00	1 სათაური	1,10 ლარი	950 სათაური	1045,00 ლარი
7	მუხ. 1.13	შიდა ანაწერების შედგენა და რედაქტირება 1300X0,25=325,00	1 სათაური	0,25 ლარი	1300 სათაური	325,00 ლარი
8	მუხ. 1.15	არასწორად ფორმირებული საქმეების დაშლა, სამაგრების ამოღება 6912X0,15=1036,80	1 შესანახი ერთეული	0,15 ლარი	6912 საქმე	1036,80 ლარი
9	მუხ.1.16.1	მმართველობითი საქმეების შეკერვა 950X0,35=332,50	1 შესანახი ერთეული	0,35 ლარი	950 შესანახი ერთეული	332,50 ლარი
10	მუხ. 1.17	საქმეებში ფურცლების ნუმერაცია და ხელახალი გადანომვრა 107295X0,85/100=912,00	100 ფურცელი	0,85 ლარი	107295 ფურცელი	912,00 ლარი
11	მუხ. 1.18	საქმის ყდის ან სატიტულო ფურცელის გაფორმება 950X0,20=190,00	1 ყდა	0,20 ლარი	950 საქმე	190,00 ლარი
12	მუხ. 1.19	სატიტულო ან დამამოწმებელი ფურცლების ჩაწებება 950X0,20/10=19,00	10 ფურცელი	0,20 ლარი	950 საქმე	19,00 ლარი
13	მუხ.1.21	საქმი ყდაზე საარქივო შიფრისა და შტამპის დასმა 950X0,30/10=28,50	10 ფურცელი	0,30 ლარი	950 საქმე	28,50 ლარი

14	მუხ.1.22	საქმეთა მოთავსება ყუთებში ან შენაკრავების ფორმირება 950X0,35/10=33,25	10 შესანახი ერთეული	0,35 ლარი	950 საქმე	33,25 ლარი
15	მუხ.1.23	იარლიყების შედგენა, კოლოფებზე დაწებება 200X0,20=40,00	1 იარლიყი	0,20 ლარი	200 იარლიყი	40,00 ლარი
16	მუხ. 1.24	კოლოფების ან შენაკრავების განლაგება 200X0,60/10=12,00	10 შენაკრავი	0,60 ლარი	200 შენაკრავი	12,00 ლარი
17	მუხ. 1.25	მოწესრიგების პროცესში საქმეთა გადაადგილება სამუშაო ოთახში 6912X0,20/10=138,24	10 შესანახი ერთეული	0,20 ლარი	6912 საქმე	138,24 ლარი
18	მუხ. 1.26.1	საქმის ანაწერის დაბეჭდვა 950X0,15=142,50	1 სათაური	0,15 ლარი	950 სათაური	142,50 ლარი
19	მუხ. 1.26.3	საქმის ანაწერის (ხელნაწერის) შედგენა 950X1,00/10=95,00	10 სათაური	1,00 ლარი	950 სათაური	95,00 ლარი
20	მუხ.1.27.2	დაწესებულების ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა 1X28,00=28,00	1 წინასიტყვაობა	28,00 ლარი	1 წინასიტყვაობა	28,00 ლარი
21	მუხ. 1.29	ანაწერის გაფორმება 2X10,00=20,00	1 ანაწერი	10,00 ლარი	2 ანაწერი	20,00 ლარი

22	მუხ. 1.31	აქტის შედგენა იმ საქმეების და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას 15X0,30=4,50	აქტის 1 პოზიცია	0,30 ლარი	15 პოზიცია	4,50 ლარი
23	მუხ. 1.32	იმ საქმეების შენაკრავების ფორმირება, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას 500X0,15/10=7,50	10 შესანახი ერთეული	0,15 ლარი	500 საქმე	7,50 ლარი
24	მუხ. 1.34	დოკუმენტების მოწესრიგების დამთავრების აქტის შედგენა 2X11,00=22,00	1 აქტი	11,00 ლარი	2 აქტი	22,00 ლარი
25	მუხ. 1.35	საქმეთა განმტვერიანება 6912X1,00/100=69,12	100 შესანახი ერთეული	1,00 ლარი	6912 საქმე	69,12 ლარი

სულ: 11959,11 (თერთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარი.

თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი — მაკა კვარაცხელია

მთაწმინდის რაიონის გამგებელი — გელა არჩვაძე